იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საქართველო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 9 (127)

ივლისი,

1965 წელი



საზაფხულო დასვენების საუკეთესო ადგილია რიწის ტბა.

წერილი ჰავანიდან

კონვერტზე ფოსტის შტემპელი — „საერთაშორისო“. ბლანკზე კი, რომელზეც დაწერილია წერილი, — კუბელ პატრიოტთა რევოლუციური ლოზუნგი: „სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ეს წერილი მიიღო საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. მეტრეველმა.

— ამ ცოტა ხნის წინათ, — თქვა ნ. მეტრეველმა,— საქართველოში იყო კუბის რესპუბლიკის პროფკავშირთა ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომლის მიზანი იყო შეესწავლა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირული ორგანოების გამოცდილება გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში.

ყველგან კუბელი ამხანაგები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ნოვატორთა ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაციას. მათ ყველაფერი აინტერესებდათ: როგორია საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოების სტრუქტურა, როგორ არის მოწყობილი მათი მუშაობა, რა მიზნებს და ამოცანებს ისახავენ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროები საწარმოებსა და დაწესებულებებში, აინტერესებდათ, თუ რა მორალური და მატერიალური სტიმული აქვთ მშრომელებს, რომლებიც ტექნიკურ შემოქმედებას ეწევიან. კუბელებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანების გამოცდილება დაეხმარება მათ უფრო უკეთ განავითარონ წარმოების ნოვატორთა მოძრაობა კუბაში.

...და აი ჰავანიდან მოვიდა წერილი. დელეგაციის ხელმძღვანელი ლორიტო საეზ დიასი თავისი ამხანაგების სახელით მადლობას უთვლის ქართველ მეგობრებს გულითად ყურადღებისა და ძმური დახმარებისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, რაც კუბელებს მზიურ საქართველოში გაუწიეს. „საქართველოდან, — ნათქვამია წერილში — სამშობლოში გაგვყვა დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი, თქვენი ყველაზე დიდი და გულუხვი საჩუქარი — ქარხველ ნოვატორთა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, კეთილი რჩევა და სურვილები. გვსურს რამეს, რაც საქართველოში ყოფნის დროს ვნახეთ და გავიგეთ, წარმატებით გამოვიყენებთ, რათა კუბაში შეეძლოთ გამომგონებელთა და ნოვატორთა საზოგადოება. ყოველთვის ვგრძნობთ საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიყვარულს კუბელი ხალხისადმი, რომელსაც ესოდენ გვსურს ერთგული მეგობარი ჰყავდეს დიად საბჭოთა კავშირში“.

ხუთიდან ოც ივლისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი.

საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე წარადგინა ორი კინოსურათი „ომი და მშვიდობა“ პირველი და მეორე სერია (რეჟისორი ს. ბონდარჩუკი) და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „ჯარისკაცის მამა“ (რეჟისორი რევაზ ჩხეიძე), რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ცნობილი ქართველი მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.

ჟიურის გადაწყვეტილებით სერგო ზაქარიაძეს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიენიჭა ფესტივალის სპეციალური პრიზი.



სურათზე: სერგო ზაქარიაძე ჯარისკაცის მამის როლში. (ფილმი „ჯარისკაცის მამა“).



ვაშენებთ მეგობრობის ხიდებს



ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ!

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზაფხულობით მთელი ახალგაზრდა კაცობრიობა მკვეთრად იყოფა ორ კატეგორიად: ტურისტებად და არატურისტებად. ახალი ადგილების, შთაბეჭდილებებისა და შეხვედრების წყურვილი ატოვებინებს ადამიანს თავის სახლს, აიძულებს ქვეითად იაროს კილომეტრები მახლობელ გზებსა და ბილიკებზე, იმოგზაუროს რკინიგზით, მანქანით, გემით, თვითმფრინავით. მსოფლიოს მონახულების ეს დაუცხრომელი სურვილი იზიდავს ახალგაზრდებს შორეულ ქვეყნებშიც. თანამედროვე ოდისეევსებს დღეს ჰყავთ თავიანთი შუამავალი, რომელიც ეხმარება მათ გაავალონ ტურისტული ბილიკები ოკეანეებსა და საზღვრებზე — „სპუტნიკი“.

ყველასათვის ცნობილი ეს რუსული სიტყვა დღეს ახალი შინაარსით იყენებს სამყარო: „სპუტნიკი“ სსრ კავშირის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს სახელწოდებაა. სტუმრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან „სპუტნიკი“ იღებს წელიწადის ყოველ დროს, უმთავრეს მათ კეთილმოწყობილ ბანაკებს ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ადგილებში, სთავაზობს სულ სხვადასხვა მარშრუტებს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს „სპუტნიკი“ უღებს მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნის კარს.

კორესპონდენტის კითხვებზე უპასუხებს საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს „სპუტნიკის“ თავმჯდომარე ლეონიდე კერესტეჯიანცი:

რა ნიშნებით ხასიათდება თანამედროვე ახალგაზრდული ტურიზმი?

უწინარეს ყოვლისა თავისი აქტიურობით. თანამედროვე ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია სურვილი არა მარტო თავისი თვალით ნახოს სხვა ხალხის სულისკვეთება და ცხოვრების სტილი, არამედ კიდევაც მიხვდეს მათ. ფართო ურთიერთობა თანატოლებთან, შეხვედრები კოლეგებთან საწარმოებში, სასწავლებლებში, პირადი კონტაქტები ახალგაზრდათა ტურიზმის განმასხვავებელი ნიშნებია.

ადამიანთა უშუალო ურთიერთობა ყველაზე მეტად უწყობს ხელს ურთიერთგაგებას. სწორედ ეს გვიკარნახებს განსაკუთრებული სახე მივცეთ საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურიზმს.

ტურიზმის რა ახალი ფორმები მოსწონს ახალგაზრდობას?

სულ უფრო ვრცელდება ტურისტების პირდაპირი გაცვლა, როცა ორი ინსტიტუტის, ორი ქარხნის, ორი ქალაქის ქალიშვილები და ჭაბუკები მიდიან ერთმანეთთან სტუმრად როგორც კარგი მეზობლები. საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა სპეციალიზებული მგზავრობა. ტურისტთა ასეთი ჯგუფებისათვის შევადგენთ ხოლმე განსაკუთრებულ პროგრამას პროფესიისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ახლა აიღეთ ჩვენი და საზღვარგარეთელი ტურისტების მონაწილეობა ფესტივალებში, მსოფლიოს ჩემპიონატებში, ეროვნულ დღესასწაულებსა და სპარტაკიადებში!

წელს ჩვენ უცხოელი ტურისტები მიიღეთ ხელოვნების ფესტივალებზე „რუსულ ზამთარსა“ და „თეთრ ღამეებზე“, მოსკოვის კინოფესტივალზე, ასობით საზღვარგარეთელი სტუმარი მონაწილეობდა 1 მაისისა და გამარჯვების დღის დღესასწაულში. საბჭოთა ტურისტები თავის მხრივ დაესწრნენ ახალგაზრდობის ფესტივალებს იაპონიაში, ფინეთში, სპარტაკიადას ჩეხოსლოვაკიაში, კრივში ევროპის პირველობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ბევრ სხვას.

აძლევს თუ არა „სპუტნიკი“ შედეგებს ახალგაზრდა ტურისტებს?

ახალგაზრდობისათვის, რომელიც ჩვენი საგზურებით მოგზაურობს და ისვენებს, ორჯერ შემცირებულია რკინიგზის ბილეთების ფასი, ბიურო 25-დან 50-მდე პროცენტ ფასდაკლებას აძლევს თვითმფრინავებზე. გამარტივებულია ვიზების მიღების და სასაზღვრო ფორმალობანი. დასხვა შეღავათებით სარგებლობენ წავლე ახალგაზრდობა და სტუდენტ ახალგაზრდა ტურისტებს ყველგან ათასნაირ მოხერხებულ, მაგრამ არა ძვირად ღირებულ სასტუმროებში.

„სპუტნიკის“ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ

ოცდათხუთმეტი ათასი ახალგაზრდა და უცხოელი ტურისტი იქნება წელს საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების სტუმარი. ამდენივე ტურისტი ინახულებს საზღვარგარეთის ქვეყნებს.

▲ ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ ამერიკის 200 ქვეყნის 200 ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ და ტურისტულმა ფირმამ დადო „სპუტნიკთან“ ხელშეკრულება ტურისტების ურთიერთვიზიტებზე.

▲ საბჭოთა კავშირის 100 ქალაქზე 50 მარშრუტს სთავაზობს „სპუტნიკი“ უცხოელ სტუმრებს.

▲ „სპუტნიკის“ 5 საერთაშორისო ტურისტული ბანაკი სოჭში, გაგრაში, ერევანში, ბაქოში, უფასოდ წელს მიიღებს 20.000 ქალიშვილს და ჭაბუკს სსრ კავშირიდან და მსოფლიოს 50 ქვეყნიდან.

▲ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა სტუმრებს მომსახურებას უწევს 1000 თარჯიმანი.

„სპუტნიკის“ გეოგრაფია

მეგობრობისა და თანამშრომლობის კანონების შესაბამისად დედამიწას გარს უვლის ახალგაზრდული ტურისტული გზები. აი „სპუტნიკის“ მხოლოდ რამდენიმე მარშრუტი ერთ კვირაში:

● **ზაპოროჟიე — ლაბტი.** ზაპოროჟიეს ახალგაზრდობის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი სტუმრად ყოფილა და გამოდიოდა ფინეთში.

● **სსრ კავშირი — ტოკიო.** ახალგაზრდობის ფესტივალზე იაპონიაში სტუმრად არის საბჭოთა ტურისტების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან ქალიშვილები და ჭაბუკები შორეული აღმოსავლეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან.

● **რიო-დე-ჟანეირო — ლენინგრადი.** ასეთია ბრაზილიელ სტუდენტ-ენერგეტიკოსთა ტურისტული ჯგუფის მარშრუტი.

● **ჰამბურგი — ოდესა.** ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული კავშირის ჰამბურგელი წევრები თავიანთი მოგზაურობის დროს ხვდებოდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, დისკუსიებს მართავდნენ სტუდენტებთან და ახალგაზრდა მეცნიერებთან.

გარიგალდის საშოგლოში



ხურათზე: ნ. გიორგაძე.

საინამოვნო მზიანი დარია. „დინამოს“ სტადიონთან ნელა მივყვები წერეთლის პროსპექტს და საყვარელი ქალაქის სილამაზით ვტკბები.

აი ისიც, სახლი № 41. მესამე სართულზე ავდივარ, ელექტროღილაკს თითს ვაჭერ, თითქმის იმ წამსვე იღება კარი და ზღურბლზე მომხიბლავი, ატმის ხესავით აფეთქებული 17-18 წლის ქალიშვილი ამესვეტება.

— ვინ გნებავთ? — ღუღუნით მეკითხება ლამაზი უცნობი.

— ნიკოლოზ გიორგაძე მინდოდა, — გუპასუხე და ჩემი ვინაობა დავუსახელე.

— მობრძანდით, დაელოდეთ, მამა მალე დაბრუნდება სამუშაოდან.

გვერდით ოთახში შემიძღვა, დაბალ მაგიდასთან მდგომ სავარძლებზე მიმითითა და მხოლოდ მაშინ გამეცნო: — „მე ნინა მქვია. მერე ბოდიში მოიხადა, ორიოდე წუთით მიმატოვა.

მაგიდიდან ფოტოალბომი აჰიღო და ყურადღებით დავუწყე ფურცლვა.

— თქვენ დედა რუსი გყავთ, ხომ? — ჰკითხე ნინას, როგორც კი უკან დაბრუნდა.

— დიახ.

— აი ეს ქალბატონი, არა?

— დიახ. თქვენ იცნობთ დედაჩემს?

— არა, მაგრამ ძნელი არ არის თქვენი ნაბვის შემდეგ მისი ცნობა. ძალიან გავართომანეთს, ოქროსფერი თმა, ლურჯი თვალები... დავიწყე ჩამოთვლა.

— კიდევ? — ეშმაკურად მეკითხება ნინა.

— ალბათ კიდო, რუსული კიდო, რომელიც უფრო მეტ მოხიბვლელობას ანიჭებს თქვენს საუბარს.

ჭაობიანურზე ქალიშვილმა თავი დახარა და ოდნავ გაწითლდა. მერე ერთად განვაგრძეთ ალბომის თვალიერება. იგი ამ ოჯახის ნამდვილი მატიანე აღმოჩნდა. ბევრი საკითხი, რის გასაგებადაც დღეს აქ მოვედი, ნიკოლოზთან შეხვედრამდე უკვე ცხადი გახდა ჩემთვის. სწორედ რომ კარგად გამომივიდა, რადგან ნიკოლოზი თვითონ ალზე სიტყვაძუნწი კაცი იყო და ბევრს არც მოველოდი მისგან.

— აი ამ სურათზე მამაჩემია გადაღებული ახალგაზრდობისას, — მეუბნება ნინა, — მაშინ საგზაო ტექნიკუმში სწავლობდა და თანაც გზის ოსტატის თანაშემწედ მუშაობდა კახეთის გზატკეცილზე, მამა ადრე დაკარგა, ობლობაში გაიზარდა... აქ კი დედაჩემთან ერთად არის გადაღებული, მგონი 1936 წელს, — სურათი გადმოატრიალა და განაგრძო, —დიახ, 1936 წელს, მაშინ ისინი დანიშნულები იყვნენ. ეს კი ჩემი და ელეონორაა თავისი მეუღლითა და ბატარა გოგონათი, ქმარი ინჟინერ-კონსტრუქტორი ჰყავს, თვითონ წელს ამთავრებს კონსერვატორიას, მომღერალია.

— თქვენ სად სწავლობთ?

— მე წელს ვამთავრებ საშუალო სკოლას. მინდა იურიდიულზე შევიტანო საბუთები.

— რა ნიშნები გაქვთ?

— ფრიადები. სკოლას, ალბათ, მედალზე დავამთავრებ.

— ყოჩაღ, კარგია, — გულწრფელად შევაქე ქალიშვილი და ახლა იმაზე გავსაგრძელთ საუბარი, თუ რომელი პროფესია სჯობს ცხოვრებაში.

სწორედ ამ დროს ნიკოლოზიც დაბრუნდა...

* * *

ნიკოლოზ გიორგაძე სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში და ჯავშნოსან მატარებელზე მემეზინედ დანიშნეს. ჯერ ტაგანროგთან, შემდეგ როსტოვთან იბრძოდა. ეს ქალაქი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში და ნიკოლოზის ზარბაზანიც „ამბობდა თავის სიტყვას“ აქ ამტყდარ ჰქექა-ჭუხილში. 1942 წლის ივლისიდან ქალაქ ორჯონიკიძეს იცავდა. მოზდოკისათვის წარმოებულ ბრძოლაში ისე დაილწა მათი ჯავშნოსანი, რომ თვითონ ნიკოლოზმა ერთბაშად თოთხმეტი ჭრილობა მიიღო. ეს მოხდა 23 აგვისტოს. ერთი დღეღამე მინდორში ეგდო გრძნობადაკარგული, სისხლისაგან დაცლილი. რუსმა გლეხებმა იპოვნეს და სოფელში შეიფარეს. შვიდი დღის შემდეგ გერმანელები დაეცნენ იმ სახლს, სადაც დაჭრილი იყო გადამალული და კონდახის ცემით გაიგდეს წინ ტყვეით დაცხრილული კაცი.

მერე ერთიმეორეს მოჰყვა არმავირის, გეორგიევსკის, როსტოვის, ლვოვის ტყვეთა ბანაკები. 1943 წლის 6 აპრილს გერმანელებმა რაღაცა საბუთი მისცეს და უბრძანეს მასში აღნიშნული მისამართით წასულიყო. ამ საბუთის ძალით ის თურმე ქართველ ტყვეთაგან შექმნილ ლეგიონში ჩაერიცხათ, რომელიც კრუშინოში ქალაქ როდომის მახლობლად იყო დაბანაკებული.

ოთხი დღე იმალებოდა ქალაქში ნიკოლოზი. მეზუთე დღეს დათქმულ ადგილზე ტყვეებაში გაეხეთქა რუს მეგობართან შესახვედად მივიდა — ერთად აპირებდნენ პარტიზანებთან გაქცევას. უბრალო შემთხვევის ამბავი იყო, თუ ვინმემ გასცა, დღეს აც არ იცის ნიკოლოზმა. ეს კია, რომ ადგილზე მისვლისთანავე ორივენი დაატყვევეს. შემდეგ პოპოვის ბედისა ვეღარაფერი გაიგო, თვითონ კი გერმანელებმა მატარებელში ჩასვეს და კრუშინოში გაგზავნეს. მისვლისთანავე ლეგიონის უფროსთან მაღლაკელიძესთან გამოცხადდა. გერმანული ფორმა ჩააცვეს და, როგორც ჭრილობებისაგან დასუსტებული, ჯერჯერობით „გამოსაჯანსაღებელ“ ბატალიონში ჩარიცხეს.

11 ივნისს ღამის ორ საათზე გაიპარა ლეგიონიდან. ვარშავის მიმართულებით შორიახლო გაჰყვა რკინიგზის ლიანდაგს, იმედი ჰქონდა იქ საბჭოთა არმიის ნაწილებს ან პარტიზანებს შეხვდებოდა. დღისით ტყეში იმალებოდა, მხოლოდ ღამით მიიწევდა წინ. სწორედ ვარშავის მახლობლად დაატყვევეს, სადესანტო ჯგუფის ჯარისკაცად მიიჩნიეს: ჯერ ოთხი დღე ატყოფეს უსმელ-უჭმელი, მერე ისედაც დასუსტებული ცამეტი დღის განმავლობაში სასტიკად აწამეს, ნაღებიანი ჩექმებითა და მათრახით სცემეს — შენი ამხანაგები სადღა იმალებიან, მიგვასწავლეო. ნატყვიარებიდან ჩირქნარევმა სისხლმა დაიწყო დენა, იძულებული გახდა ეთქვა, რომ გამოქცეული იყო. რამდენიმე დღით ჰოსპიტალში მოათავსეს. მერე სხვა სამხედრო ტყვეებთან ერთად ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ჩრდილოეთ იტალიაში გაგზავნეს. ამ დროს გაეცნო და დაუმეგობრდა სერგეი ვარვარკინს, რომელსაც აქამდე ნიკოლოზზე არანაკლები ჯოჯოხეთი ჰქონდა უკვე გამოვლილი. მათთან ერთად იყვნენ ფრანგი, ბელგიელი, პოლანდიელი, ჩეხი და სხვა ეროვნების სამხედრო ტყვეები. ერთ ბედში მყოფი ადამიანები, რითაც კი შეეძლოთ, ხელს უმართავდნენ ერთიმეორეს.

ტყვეებს აიძულებდნენ ტურინის ავტოქარხანა „ფიატიდან“ ახალი მანქანები სხვადასხვა ქალაქებში გადაეტანათ. გზაში ისინი ხშირად ცვლიდნენ ნაწილებს, აცლიდნენ ჭანჭიკებს, აფუჭებდნენ მოტორს, თუმცა არც ქარხნიდან გამოდიოდა მანქანები სრულ წესრიგში. ეჭვი არ იყო, ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლაში იტალიელი მუშებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას.

ნიკოლოზმა და სერგეი ვარვარკინმა პარტიზანებად გასვლა გადასწყვიტეს, ოღონდ ახლა ალალბედზე გაქცევაზე აღარ ფიქრობდნენ, რადგან ცხადი იყო, თუ ჩავარდებოდნენ, ცოცხლები ვეღარ გადარჩებოდნენ.

ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცათ. ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულებს ამხანაგებმა აცნობეს, რომ მათ ვიღაც რუსი დაეძებდათ. ბიჭი ბანაკის შორიახლო დასეირნობდა.

— ეძებ ვინმეს? — რუსულად ჰკითხა ნიკოლოზმა.

— თქვენ გეძებთ, — წმინდა რუსულით უპასუხა ბიჭმა.

— ოჰო, მართლა რუსი ყოფილხარ? სადაური ხარ? რა გქვია? რამდენი წლისა ხარ? — ზედიზედ მიაყარა კითხვები აღელვებულმა სერგეიმ.

— მამა იტალიელი მყავს, დედა — რუსი, მე კარლო მქვია და ტურინში ვცხოვრობ, თექვსმეტი წლისა ვარ.

ლაპარაკი დიდხანს აღარ გაუგრძელებიათ. კარლომ აღუთქვა მალე განახავთო და წავიდა.

მეორედ შეხვედრისას ბიჭმა პირდაპირ იკითხა: „პარტიზანებთან წასვლა არა გსურთ?“ — „როგორ, შენ იცი, სად არიან პარტიზანები?“ — ერთსადაიმავე დროს იკითხა ორივემ. „მე თვითონ პარტიზანი ვარ“ — ამაყად თქვა კარლომ და ნაცნობებს თვალი თვალში გაუყარა. — „შეგარცხვინა ღმერთმა, რატომ აღარვის არ გვითხარი?“ — ვეღარ მოითმინა და უსაყვედურა ნიკოლოზმა. — „აღრე არ გიცნობდით“, — თავი იმართლა ბიჭმა...

პატარა ქალაქ ლანცომდე მუშათა მატარებლით იმგზავრეს ფარულად. აქ პარტიზანებმა სამივენი მანქანაში ჩასვეს და მთებში მიმალულ პატარა სოფელ კვასალოში მიიყვანეს. ორსართულიანი სახლის აივანზე რამდენიმე პარტიზანი რადიომიმღებს შემოსხდომოდა და უკანასკნელ ცნობებს უსმენდა. ყველა მათგანს წითელი ყელსახვევი ეკეთა ან ლენტი ჰქონდა მკლავზე შემოსვეული. ესენი გარიბალდელები იყვნენ.

კარლომ ნიკოლოზი და სერგეი წარადგინა. მაღალმა, ჩასხმულმა მამაკაცმა ორივე ძმურად გადაკოცნა. კარლომ ბევრი რამ საინტერესო უამბო მათ საყვარელი მეთაურის შესახებ, რომელმაც მარჯვენა ხელი გერმანელების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში დაკარგა.

გარიბალდის სახელობის მეოთხმოცე ბრიგადის შეთაურმა ჯოვანი ბურლანდომ ცხოვრების მეტად რთული გზა განგლო. ადრე იგი გერმანელების მხარდამხარ იბრძოდა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, მერე როცა საკუთარი თვალით ნახა ნაცისტების არაადამიანური ნამოქმედარი, გადამწყვარი სოფლები და ქალაქები, უდანაშაულო ადამიანების მხეცური ტანჯვა-წამება, ფრონტი თვითნებურად მიატოვა და იტალიაში უკვე პარტიზანად დაბრუნდა. პარტიზანული რაზმი, რომელსაც ის მეთაურობდა, დღითიდღე იზრდებოდა და შიშის ზარს სცემდა გერმანელებს. სახალხო შურისმაძიებლები დღედაღამე არ ასვენებდნენ ნაცისტებს. აფეთქებდნენ სამხედრო საწყობებს, ჭარხნებსა და ხიდებს, შლიდნენ რკინიგზის ლიანდაგებს, ხევებში ჩეხავდნენ იარაღით, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ეშელონებსა და მანქანათა კოლონებს.

ამ ბრძოლებში მუდამ მხარდამხარ იბრძოდა ორი საბჭოთა მეგობარი — ნიკოლოზ გიორგაძე და სერგეი ვარვარკინი.

ერთხელ მათმა ჯგუფმა ორი 75 მილიმეტრიანი ზარბაზანი „მოიპარა“ გერმანელთა პოსტიდან. ოპერაცია იმდენად მოულოდნელი და გაბედული იყო, რომ თავდაპირველად გერმანელებმა პარტიზანები თავისიანებად მიიჩნიეს. ხოლო როცა სინამდვილეში გაერკვნენ, უკვე გვიან იყო— მანქანებზე გამობმული ზარბაზნები ტყეში გაუჩინარდნენ. კარგი სამსახური გაუწია შემდეგში ამ ზარბაზნებმა პარტიზანებს. ნიკოლოზი ხომ ადრევე იყო ცნობილი, როგორც კარგი მემიზნე, თავი არც ახლა შეურცხვენია, უშეცდომოდ ხვდებოდა მისი ნასროლი მიზანს.

ერთ დღეს ნიკოლოზი მეთაურმა იხმო.

— იცნობ ამ მამაკაცს? ჰკითხა და პორტრეტი აჩვენა. სურათს ქვემოთ მსხვილი ასოებით რაღაცა იყო დაბეჭდილი იტალიურ ენაზე.

— ჩემი სურათია, — უპასუხა გაკვირვებულმა ნიკოლოზმა. — კი, მაგრამ რაო, რაშია საქმე?

— შენი თავი ასორმოცდაათიათასად შეუფასებიათ გერმანელებს. ვერ სცოდნიათ კარგი ანგარიში, შენ ბევრად უფრო ძვირი ღირხარ ჩვენთვის. გამცემი ჩვენში არ მეგულება, მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამიერიდან ჩემს მანქანაზე იმუშავებ და უჩემოდ ფეხს არსად მოიცვლი.

ახლა შედარებით იშვიათად უხდებოდა ნიკოლოზს ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის მიღება. ერთხანს ეჭვიც კი შეეპარა იქნება აღარც კი მენდობიანო. მალე ეს ეჭვიც გაიფანტა.

— ბიჭები წაიყვანე და რამდენიმე მსუბუქი მანქანა იშოვნე, — მისცა დავალება მეთაურმა.

ხუთი იტალიელი შეარჩია. მილან-ტურინის ავტოსტრადაზე გავიდნენ, მანქანა მახლობელ ტყეში შეაფარეს, თვითონ კი გზის პირას ბუჩქნარში ჩასაფრდნენ.

თითქმის საათნახევარი ელოდნენ, სანამ ცალკე მომავალი მსუბუქი მანქანა გამოჩნდებოდა. მძღოლმა როგორც კი ავტომატებით შეიარაღებული პარტიზანები შენიშნა, ისე სწრაფად დაამუხრუჭა, კინაღამ გადააბრუნა მანქანა. შვიდი იტალიელი მფრინავი ერთ წუთში განაიარაღეს, ერთი მსუბუქი მანქანა, შვიდი პისტოლეტი და ორი ტომარა ფქვილი დასაწყისისათვის ცუდი არ იყო.

მფრინავები გზის პირას ხვრეში გადაიყვანეს და ყველაზე ახალგაზრდა პარტიზანი მიუჩინეს, თვითონ კვლავ ავტოსტრადაზე დაბრუნდნენ, იმავე წუთში მილანიდან დიდი სიჩქარით მომავალი მშვინიერი მანქანა გამოჩნდა. მძღოლმა პარტიზანებისაგან მხოლოდ ორიოდე მეტრის დაცილებით მოახერხა გაჩერება. მანქანასთან პირველი ნიკოლოზი მიიჭრა. საჭესთან გერმანელი გენერალი იჯდა. მის გვერდით „სს“-ის მაიორი მოკალათებულიყო. მკერდზე ორივეს ჯვრები უბრწყინავდა.

— ოჰო! ეს ჯვრები ალბათ რუსეთში მიიღეთ. იქნებ ჩვენი ენაც გესმით? ხომ არ გვესაუბრა მცირეოდენი? — რუსულად მიმართა ნიკოლოზმა.

გენერალმა რაღაცა გაუგებარი წაიბურდღუნა გერმანულად.

— მაშინ იტალიური გეცოდინებათ: — ხელები მაღლა? — დასჭექა და ავტომატი მიუშვირა.

მაიორი მაშინვე დამორჩილა, გენერლის ხელში კი პისტოლეტმა გაიელვა. ნიკოლოზმა სასხლეტს მოსწია. მანქანის სავარძელში ორი გერმანელი ერთიმეორეზე დაემხო.

(დასასრული მე-6 გვ.)

სასაკლაო გვიკრძალავს ეკლესიას



ახალი საავადმყოფო

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს წელს თეთრი-წყაროს მშრომელებმა. აქ ექსპლოატაციაში გადაეცა 100-საწოლიანი საავადმყოფო პოლიკლინიკით.

თვალს ახარებს ახალი სამკურნალო კომპლექსის ოთხსართულიანი ნათელი შენობა. აქ ყველა პირობაა შექმნილი სამედიცინო პერსონალის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ავადმყოფთა მკურნალობა-გამოჯანსაღებისათვის. ფართო, სინათლითა და ჰაერით სავსე ოთახებში მოთავსდა კაბინეტები და ლაბორატორიები, პალატები.

ახალ საავადმყოფო-პოლიკლინიკას აქვს თერაპევტული, ქირურგიული, ინფექციური და ბავშვთა განყოფილებანი. ისინი მოემსახურებიან აგრეთვე მეზობელი — მარნეულისა და წალკის რაიონების მშრომელებს.

სურათზე: პირველი ოპერაცია ახალ საავადმყოფოში. მას ატარებენ ქირურგი ავთანდილ ყორღანოვი, თერაპევტული განყოფილების გამგე ნუნუ გონგაძე და საავადმყოფოს მთავარი ექიმი გულნარა გიგაური.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფრთები გაშალა, გაიზარდა და დამშვენდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. სრულებით გამოიცვალა ძველი საბურთალო. ვისაც 15 წელია არ უნახავს ეს უბანი, ახლა ვეღარც კი იცნობს. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სწორედ საბურთალოს ერთ-ერთი კუთხე (სპორტის სასახლესთან) აღბეჭდა ამ სურათზე.

ამბები—დედა

მუდამ ძიებაშია

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველს ეთერ სოლომონიას საწარმოს მთელი კოლექტივი იცნობს როგორც კარგ სპეციალისტს, გულისხმიერ ადამიანს.

ეთერს უძნელდებოდა პირველი ნაბიჯების გადადგმა შრომითს ასპარეზზე. საწარმოში მრავალი წლის წინათ მოვიდა სრულიად გამოუცდელი გოგონა. ამხანაგები დაეხმარნენ დაუფლებოდა მქსოველის პროფესიას. ახლა იგი მოწინავე მქსოველია და საწარმოში ბევრი ბაძავს მას. 125-135 პროცენტი — ასეთია საწარმოო ნორმების შესრულების ციფრები.

პირადი შვიდწლიანი დაევალება ეთერ სოლომონიამ ვადამდე შეასრულა — ხუთ წელიწადსა და რამდენიმე თვეში და ახლა 1967 წლის ანგარიშში მუშაობს. გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებიც.

ყოველდღიურად იბრძვის სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, იჩენს ინიციატივას, ზოგავს წამებს, ეძებს შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალ რეზერვებს.

ამ ცოტა ხნის წინათ მოწინავე მქსოველმა დაიწყო ექვსი დაზგის მომსახურება. ისევე როგორც ყველა სხვა მუშას, სოლომონიასაც აქვს მომაელის გეგმები — მალე იგი აპირებს რვამდე გაადიდოს იმ დაზგების რიცხვი, რომლებსაც ემსახურება.

შრომის დამკვრელმა სოლომონიამ ფაბრიკაში ბევრი მქსოველი აღზარდა. ესენი არიან საწარმოს საუკეთესო მქსოველები — თინა სულთანიშვილი, ელენე გურგენიძე, გულიკო ჭოლოშვილი და სხვები. ეთერთან განუწყვეტლივ გადიან პრაქტიკას № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები. ეთერ სოლომონია ახლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია.

ღვია სუფთა იქნება

ბათუმი. ვინ დაიჯერებს, რომ ბათუმში, სადაც ზღვის სანაპიროზეც კი ბენზინის ხუნი ტრიალებს, გარაჟში უჭმად იდგა „ჩაიკა“ იმიტომ, რომ მისთვის მთელ აჭარაში ვერ იშოვნეს საწვავი. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია!

ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც ოცზე მეტი დასახელების ნავთობპროდუქტებს აწარმოებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის, უშვებს დაბალოქტანიან ბენზინს. თანამედროვე ძრავებისათვის ეს საწვავი არ გამოდგება.

მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ქარხანაში ამონტაჟებენ ორ ახალ დანადგარს — ზეთების აბსორბციულ გამწმენდსა და კატალიზურ რიფორმინგს. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა ნავთობპროდუქტები გადაამუშაოს მაღალოქტანიან საწვავად. მაგრამ რიფორმინგის ეს ერთადერთი ღირსება როდია. ბენზინის წარმოების პროცესი რიფორმინგში მიმდინარეობს ისე, რომ ტექნოლოგიურ პროცესში აღარ არის საჭირო ბენზოლისა და სხვა პროდუქტების დამატება, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. ძვირფასი ტექნიკური რეაგენტების ეკონომიის შედეგად მიღებული მოგება წელიწადში ასეულ ათასობით მანეთს შეადგენს.

ათასობით ტონა გოგირდმჟავა მოხმარდება სოფლის მეურნეობის საჭიროებებს, როდესაც ამუშავდება აბსორბციული დანადგარი. მობანაველებსაც ეშველებათ. გუდრონს, რომელიც ზღვას აჭუჭყიანებდა, სხვა საქმეში გამოიყენებენ.

უხვი

ცაგერი.
რესი“ ეკ
აქ ვადამდე
მოქმედებს
უდვის გე
ბულებანი
წარმატებ
რულებულ
მიუყიდვის
— ჩვენ
დუქტების
ემჯდომარ
ციროთ მა
იყენებენ
გამოცდილ
თოდ ითს
როგორიც
ნოდარულ
მემცენარე
მთაში
მეურნეებმ
თესვა. კა
დიანმა, რ
ციცაბო
მოწინავ
შკუბულიან
რეს ჰექტ
მარცვალ
კოლმეურ
ფასესი
ლეში“. კ
ტარზე მ
ხელმწიფ
უფრო უხ
ზის ოსტა
ნიანმა.
კარგად
მოცდილი
ლი ერთნ

ა

ვამისო
ლის თვა
რიზმის
ტულ-გა
ლებისათ
ნურება.
15 ი
გამჯანსა

ღ ვ

მაიას
ღვინის
ნეთის პ
გეგმა
შრალ
დანიშნ
ჭის სპ
ბის გ
მაღალ
კოვსკი
რომელ
გეგმებ

და საქართველოდან

უნ[illegible]რსავლისათვის

ცაგერი. [illegible] ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესი“ ეკ[illegible]დ ძლიერი მეურნეობაა. შარშან აქ ვადამდე [illegible]ეს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედების [illegible]ცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგ[illegible] წელს უფრო გადიდებული ვალდებულებანი [illegible] რომელთა შესრულებისათვის წარმატებით [illegible]ან. 110 პროცენტით არის შესრულებული [illegible]წიფოსათვის ძროხა და ხორცის მიყიდვის [illegible] წლის დავალება.

— ჩვენ [illegible]თ არა მარტო გავადიდოთ პროდუქტების [illegible], — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარ[illegible]სარტელიანმა, — არამედ შევამციროთ მ[illegible]ღირებულებაც. კოლმეურნეები იუენებენ [illegible] მოწინავეთა გამოცდილ[illegible] კოლმეურნეო მინდვრებში ფართოდ ითეს[illegible] უხვმოსავლიანი კულტურები, როგორიც [illegible]დი „ჯაშმეთის თეთრი“, კრასნოდარული [illegible] — 5 და სრულიად საკავშირო მემცენარ[illegible]ტიტუტის ჰიბრიდები.

მთაში [illegible]და გაზაფხული. მაგრამ კოლმეურნეებმ[illegible]დროებულ ვალდებულებანი დაამთავრეს თესვა. კარ[illegible]შავა მექანიზატორმა დ. ლეთოდიანმა, რო[illegible] ნიადაგი დაამუშავა და დათესა ციცაბო [illegible]ზე.

მოწინა[illegible]ურნეებმა ა. ნემსიწვერიძემ, ა. შკუბულიან[illegible]ალიანმა ვალდებულება იკისრეს ჰექტ[illegible]ანონ 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალ[illegible].

კოლმეურ[illegible]ში ძირითადად მოჰყავთ უძვირფასესი ჯ[illegible]ურძენი „ცოლიკაური“ და „ოჯალეში“. კ[illegible]ობამ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მ[illegible]ულ ცოტა 50 ცენტნერი და სახელმწიფ[illegible]ოს 210 ტონა ყურძენი. კიდევ უფრო უხ[illegible]ლის მოყვანის პირობა დადეს ვაზის ოსტა[illegible]ილაგაძემ, გ. ჩიქოვანმა და ვ. ჯანიანმა.

კარგად [illegible]ურეთვე მეცხოველეთა საქმე. გამოცდილი [illegible]ში ო. კორძაია და დ. ზურაბიშვილი ერთნ[illegible] ასრულებენ დავალებას.

ამისბანაკი

მამისო[illegible]ტეხილის რაიონში, ხარისთავლის თვალ[illegible] მიდამოებში საქართველოს ტურიზმის რ[illegible]ურმა საბჭომ მოაწყო ტურისტულ-გამ[illegible]ი ბანაკი ქუთაისის მცხოვრებლებისათ[illegible] ერთდროულად 65 კაცს მოემსახურება.

15 ივ[illegible] 15 სექტემბრამდე მაღალი მთის გამაჯანსა[illegible]ში დაისვენებს 540 კაცი.

ღვინის ქარხნებში

მაიაკო[illegible]ლის დამდეგიდან სამტრესტის ღვინის ქ[illegible]ებმა უკვე გამოუშვეს 872 ათასი მანეთის პ[illegible] ბევრად მეტი, ვიდრე ხუთი თვის გეგმა ით[illegible]და; გადაჭარბებით შესრულდა მშრალი [illegible]ული ღვინოების ჩამოსხმისა და დანიშნუ[illegible] გაგზავნის, კონიაკისა და ჭაჭის სპირ[illegible]ის, ღვინის მჟავის დამზადების გეგ[illegible].

მაღალ[illegible] მაჩვენებლები მოიპოვეს მაიაკოვკის[illegible]ა და ობჩის ღვინის ქარხნებმა, რომელ[illegible]ებმა ხუთ თვეში ნახევარი წლის გეგმები [illegible].

კულტურის კერა

იყალთო. „მინის ჭურჭელი რომ სასიამოვნოდ ბრწყინავდეს, სუფთა და გამჭვირვალე იყოს, იგი უნდა გარეცხოთ თბილი, მარილიანი წყლით“.

ქაღალდის ფურცელზე ლამაზად დაწერილ ამ სიტყვებს წაიკითხავთ თელავის რაიონის სოფელ იყალთოს ბიბლიოთეკაში სტენდზე „დიასახლისის სკოლა“. ამავე სტენდზე წაიკითხავთ 16 სასარგებლო რჩევას, თუ როგორ უნდა მოხარშოთ მურაბა, როგორ დააუთოოთ, გაწმინდოთ ტანსაცმელი და სხვ.

გარდა თავისი ძირითადი ფუნქციისა იყალთოელთა ბიბლიოთეკა სხვა ბევრ საქმესაც აკეთებს. იგი მკითხველს აცნობს სოფლის ისტორიას, მის აწმყოს, აქტიურ პროპაგანდას უწევს სიახლეს სოფლის მეურნეობაში, თვალს ადევნებს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ მომხდარ მოვლენებს.

სამკითხველო დარბაზის სტენდებზე თავისუფალი ადგილი არ არის. ყველგან დგას სტენდები, ჰკიდია სქემები, დიაგრამები. გამოყოფილია ფოტოკუთხე, რომელიც გვაცნობს იყალთოს უხუცეს მცხოვრებლებს, ამ სოფლის ორდენოსან ადამიანებს, საბჭოთა კოსმონავტებს. სიყვარულით არის გაფორმებული ალბომი „წერილები ფრონტიდან“. თემატური კატალოგი მეევნახეებს, მესიმინდეებს ურჩევს, თუ რა წაიკითხონ. ცალკეული მასალები აშუქებენ სოფლის რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობას.

ბიბლიოთეკაში მკითხველი ბევრ სასარგებლოს და საინტერესოს ეცნობა.

ბიბლიოთეკის გამგეს ნ. ბერძენიშვილს დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულით გაუფორმებია ბიბლიოთეკა. თავისი საქმისადმი სიყვარულმა, მკითხველებისადმი მზრუნველმა დამოკიდებულებამ იგი ყოველი იყალთოელის ოჯახის მეგობარი გახადა. ამ ქალის დამსახურება ისიც არის, რომ სოფლის თვითეული მესამე მცხოვრები ბიბლიოთეკის მუდმივი აბონენტია.

წიგნის პოპულარიზაციისათვის სოფლად ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ ბავშვები. მათი დახმარებით შექმნილია ნორჩ მკითხველთა კუთხეები, კარტოთეკა, გამოდის კედლის გაზეთი. წიგნის მეგობართა წრეში ბავშვები სწავლობენ ხმარების შედეგად გაცვეთილი წიგნების რესტავრაციას.

იყალთოში თუ ჩახვალთ, უსათუოდ ეწვიეთ სოფლის ამ შესანიშნავ ბიბლიოთეკას.

წიგნი ოსურ ცეკვებზე

ცხინვალი. ოსი ხალხის ცეცხლოვანი, კოლორიტული ცეკვები შეიყვარა საბჭოთა მაყურებელმა. ოსური ცეკვებით მრავალჯერ აღფრთოვანებულა მოსკოველი, ლენინგრადელი, თბილისელი მაყურებელი.

ეროვნული ქორეოგრაფიის კლასიკური ნიმუშების აღწერას მიუძღვნა თავისი წიგნი „ოსური ცეკვები“ ლ. გრიქუროვამ. უამრავი სურათი ახახავს მოცეკვავეთა მოძრაობის მრავალფეროვნებას.

წიგნში აღწერილია ოსური ხალხური ცეკვების უმრავლესობა, მოცემულია საცეკვაო მელოდიათა ნოტები, ძველი ეროვნული კოსტიუმები.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს.

მე-500 კომკურა ამწე

რუსთავი. რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში დაამზადეს მე-500 კომკურა ამწე. რუსთაველ მანქანათმშენებელთა პროდუქციას შეხვდებით ლენინგრადის, მურმანსკის არხანგელსკის, ვორკუტის, ვერხოიანსკის, ირკუტსკის, ვლადივოსტოკის ახალშენებებზე. ეს პროდუქცია გაუგზავნ რუსინეთში, ავღანეთში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ვიეტნამში.

— რუსთავის ქარხანაში შექმნილი „კბ-100-1“ ტიპის ამწე საბჭოთა ამწეშენებლობის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება, — უთხრა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელმა ი. ვოდიანიცკიმ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იყო რუსთავში. ასეთი ამწე კარგად უძლებს ქარს, დატვირთვას, მოსახერხებელია სამშენებლოდ“.

ქარხანაში გრძელდება სამუშაოები ამწის სრულყოფისათვის. მისი ტვირთამწეობა გადიდდება ხუთიდან 7 ტონამდე, ისრის სიგრძე დაახლოებით 30 მეტრი იქნება. ასეთი ამწით შეიძლება ვაშენოთ 16-სართულიანი შენობები.

მოკლე ცნობები

წელს ჰიათურის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ღამის სანატორიუმში 225 მაღაროელმა დაისვენა. გადაწყდა დიმიტროვის სახელობის მაღაროში აიგოს 250-ადგილიანი ღამის სანატორიუმი, რომელიც მოემსახურება ამავე მაღაროს, კალინინის სახელობის მაღაროს მარგანტრესტის დამხმარე წარმოების სამმართველოს მუშებს.

* * *

მშვენდება და ლამაზდება გეგეჭკორის რაიონის სოფელი ნაჯახოვო. კოლმეურნეობის გამგეობამ მოკლე დროში დაამთავრა საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობა. ამ დღეებში აშენდა ახალი ელექტროქვესადგური. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე საკოლმეურნეო კლუბ-კინტორა.

* * *

წითელწყაროს რაიონის სკოლებში დამთავრდა საწარმოო სწავლებაზე გადასული მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდები. რვა საშუალო სკოლის მოსწავლე ვაჟებმა გამოცდები ჩააბარეს მეავეკის, ხოლო გოგონებმა — მკერავის პროფილით.

* * *

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ზუგდიდისა და სომხეთის სსრ მეგრის რაიონის მეკონსერვეებს. ამ დღეებში მეგრის რაიონში იყო ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის მუშაკთა დელეგაცია. სომეხმა და ქართველმა მეკონსერვეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

* * *

ვალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მუშათა კოოპერატივის, სასადილოს, პურის საცხობის კაპიტალური შენობები. მეურნეობის მუშათა დაბაში აგრეთვე აიგო სამსართულიანი შენობა საშუალო სკოლისათვის.

* * *

ჰიათურის მშრომელებს თავიანთი დანაზოგები შეჰქვთ შემნახველ სალაროებში. მარტო წლის დამდეგიდან ანაბრის თანხა 455 ათასი მანეთით გადიდდა. თითქმის ათასით გაიზარდა მეანაბრეთა რიცხვი.


* * *

დაბა ჯვარში მწყობრში ჩადგა 25-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც მომსახურებას გაუწევს ენგურჰესის მშენებლობის მუშაკებს. საავადმყოფოს აქვს ფიზიოთერაპიის, ქირურგიული, რენტგენის და სხვა კაბინეტები.

მარნეულის რაიონის სოფელ დამიანეურარხის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ ახლახან ააშენა ორსართულიანი საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაგა. სოფელში გაიყვანეს აგრეთვე წყალსადენი.



ტრადიცია და ტალანტი



ანსამბლური ხმაშეწყობილობა, მუსიკალური ფრაზების აგების დინამიურობა და პლასტიკურობა, დირიჟორისა და მუსიკოსთა გატაცება ერთხმად აღნიშნეს „ამერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ მონაწილეებმა და სტუმრებმა, რომლებმაც მოისმინეს კომპოზიტორთა რ. გაბიჩვაძის, ა. შავერზაშვილის, ო. გორდელისა და ვ. აზარაშვილის ნაწარმოებები სამართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. დირიჟორობდა **ლილე კილაძე**.

1925 წელს პირველად შესრულდა ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის **გრიგოლ კილაძის** „ქართული სურიტა“. მას მოჰყვა სიმფონიური პოემა „გაინდგილი“, რაც მოასწავებდა ქართულ მუსიკაში პროგრამული სიმფონიზმის დაბადებას. ილია ჭავჭავაძის ლრმა ფილოსოფიური ნაწარმოების ძირითადმა იდეამ — ოპტიმისტური, ცხოველმყოფელი საწყისის შეგნებულ ძალებზე გამარჯვების, ბოროტზე კეთილის გამარჯვების თემამ ბრწყინვალედ შეისხა ხორცი გ. კილაძის მუსიკაში. ამავე თემის განვითარება იყო კომპოზიტორის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — ბალეტი „სინათლე“. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი არა მარტო კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაშიც. ბალეტი დიდხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ამას წინათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ეს ბალეტი ხელახლა დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ჭაბუკიანმა.

მდიდარი და მრავალფეროვანია გრიგოლ კილაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. იგი ორი სიმფონიის, ოპერების „ბახტრიონისა“ და „ლადო კეცხოველის“, მრავალი ქართული კინოფილმის მუსიკის ავტორიც არის.

გრიგოლ კილაძე არა მარტო ქმნიდა მუსიკას, არამედ მისი ნიჭიერი ინტერპრეტატორიც იყო. იგი დირიჟორობდა მოცარტის, ვაგნერის, ბრამსის ნაწარმოებებს. 1943 წელს მისი დირიჟორობით საქართველოში პირველად შესრულდა ბრუკნერის მე-7 სიმფონია.

გრიგოლ კილაძე იყო მუსიკალური ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, მან შექმნა საოპერო სტუდია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ადრე შეწყდა კომპოზიტორის სიცოცხლე, მაგრამ იგი ცოცხლობს ხალხის საყვარელ ნაწარმოებებში.

ლილე კილაძე კომპოზიტორის შვილი. ნიჭიერი დირიჟორი აღიზარდა მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ ა. გაუკის ხელმძღვანელობით. თავის დროზე გაუკის დირიჟორობით პირველად შესრულდა გ. კილაძის გმირული სიმფონია“. 1962 წელს კი, მამის იუბილეზე ლილე კილაძე დირიჟორობდა ამ სიმფონიას.

ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში ახალგაზრდა დირიჟორის ხელმძღვანელობით შესრულდა ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია. ლილე კილაძე მოიწვიეს სარატოვიდან, სადაც იგი მუშაობდა ოპერის თეატრსა და ფილარმონიაში.

ბეთჰოვენი, რაველი, შოსტაკოვიჩი, მაშავარიანი, თაქთაქიშვილი — აი არასრული სია იმ ავტორებისა, რომელთა ნაწარმოებებს დირიჟორობდა ლ. კილაძე, როცა თბილისში სამუშაოდ გადმოვიდა. 1959 წლიდან ლილე კილაძე საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორია. მამის ტრადიციებისადმი ერთგული ლილე კილაძე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების თანმიმდევრული პროპაგანდისტია. კომპოზიტორების ნ. გაბუნიას, ნ. მამისაშვილის, გ. ყანჩელის, რ. ქარუჯნიშვილის, ვ. აზარაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების პირველად შესრულების დროს დირიჟორის პულტთან იდგა ლილე კილაძე.

კონცერტიდან კონცერტამდე ოსტატდებოდა ახალგაზრდა დირიჟორი. მან მოამზადა ჰინდემიტის, ბარტოკის, ვილვალდის ნაწარმოებები, რომლებიც გაისმა როგორც დასრულებული ოსტატის ნამუშევარი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე. ქვემოთ — მისი ვაჟიშვილი, დირიჟორი ლილე კილაძე.



ახალი სეზონი

ყაზბეგი. ყაზბეგის ტურისტთა ბაზა მომზადებული შეხვდა სეზონს, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა. უკვე მოვიდნენ პირველი ექსკურსანტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, დონბასიდან. ტურისტებს მოელიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან.

ტურისტთა ბაზა მოემსახურება 10 ათასზე მეტ კაცს. ბაზაში შექმნილია ნორმალური დასვენებისათვის საჭირო პირობები.

კულტურის სახლი

ვალენჯიხა. დაბა ჯვარის კულტურის სახლში უკვე საღამოს აკრიბებიან მშრომელები, რათა დაისვენონ და გაერთონ ნაყოფიერი შრომის შემდეგ. კულტურის სახლთან მუშაობს სიმღერის და ცეკვის ანსამბლი, ლიტერატურული, დრამატული, ჰადრაკისა და სხვა წრეები, რეგულარულად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, შეხვედრები ნოვატორებთან და სხვ. მომდინარე წელს აქ 20 ლექცია წაიკითხეს.

ახლა კულტურის სახლის ავიტმხატვრულმა ბრიგადამ მუშაობის ცენტრი საკოლმეურნეო მინდვრებში გადაიტანა, სადაც სისტემატურად მართავს ლექციებსა და კონცერტებს.

სწავლობენ ინგლისურს

ცხინვალი. ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში“ ჩამოყალიბდა ინგლისური ენის შემსწავლელი წრე. აქ პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორის ევგენი ჯიოევის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ ინჟინრები, მუშები... უცხო ენის ცოდნა გაუადვილებს მათ საექსპორტო დოკუმენტაციის წაკითხვასა და შედგენას.

ახალი კინოთეატრი

ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე — ოქტომბრის პროსპექტზე გაიხსნა კინოთეატრი „რუსთაველი“. ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი მინითა და ბეტონით ნაგები ლამაზი თანამედროვე შენობაა.

ფოიეში მაყურებელს შეუძლია ნახოს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

ინჟინრის დიპლომი

ხუთმა ჭიათურელმა მაღაროელმა, რომლებიც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდნენ, ამ დღეებში დაიცვა სადიპლომო პროექტი და მიიღო ინჟინრის წოდება.

გარიბალდის სამშობლოში

(დასასრული)

გენერალის პორტფელში ძვირფასი დოკუმენტები აღმოჩნდა. ნადავლად წამოღებულმა ფორმამაც შესანიშნავი სამსახური გაუწია შემდეგში პარტიზანებს: მეზობელ რაზმში მყოფი რომელიღაც იტალიელი ექიმი — პარტიზანი ხშირად დასჭირნობდა გენერალის ფორმით სხვადასხვა ქალაქებში და საჭირო ცნობებს აგროვებდა.

ასე გადიოდა პარტიზანული ცხოვრების დღეები, რომელშაც იტალიელი, ფრანგი, რუსი და ქართველი პატრიოტები ერთ ძმურ ოჯახად შეაკავშირა. და როცა საბოლოო გამარჯვების მაუწყებელმა ხალხებმა დაიქუხეს, გარიბალდელი პარტიზანების თვალებში ვაჟკაცური ცრემლი გაბრწყინდა

— ცრემლი გამარჯვების სიხარულისა და ერთმანეთისაგან მოსალოდნელი დაცილებით გამოწვეული ნაღველისა...

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. მაგრამ მეგობრები როდი ივიწყებენ ერთმანეთს. ნიკოლოზი და სერგეი ყოველ წელს ხვდებიან ერთმანეთს ხან თბილისში, ხან კალინინის რაიონის ქალაქ ოსტაშკოვოში. მათი მეგობრობა ახლა უკვე ორი შესანიშნავი ოჯახის მეგობრობაში გადაიზარდა. მათ არც იტალიელ პარტიზანებთან გაუწყვეტიათ კავშირი. აი პატარა ამონაწერი სახელოვანი მეთაურის, მტკიცე კომუნისტის, ახლა უკვე იტალიის პარლამენტის დეპუტატის ჯოვანი ბერლანდოს მიერ მათ სახელზე გამოგზავნილი წერილიდან:

„ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო! ძალზე მიხარია, რომ ორივენი ჯანმრთელად და ბედნიერად ცხოვრობთ თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად. გისურვებთ მომავალში კიდევ უფრო მეტ სიკეთესა და ბედნიერებას.

როცა თქვენთან გამოსაგზავნი წერილის წერას შევუდექი, მღელვარებამ შემიპყრო, ოცნებით წარსულს დავუბრუნდი. თუმცა მას შემდეგ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ ერთად გადატანილი ბრძოლებისა და ცხოვრების სურათები კვლავ ცოცხლობენ ჩემს მეხსიერებაში.

ჩვენ, გარიბალდის მეთოხმოცე ბრიგადის პარტიზანები, როცა კი ერთად შევიკრიბებით, მუდამ დიდი სიყვარულით გიხსენებთ თქვენ, რომელთაც საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ იტალიელი პარტიზანების მხარდამხარ ბრძოლის დროს თქვენ მიერ გამოვლინებული დისციპლინითა და მამაცობით საუკეთესო მოგონებები დატოვეთ თვითეული ჩვენგანის გულში.

მე შემდეგშიც სისტემატურად მოგწერთ წერილებს, ჩემო სახელოვანო ნიკოლო და სერგო! პარტიზანად თქვენთან ერთად ყოფნას მე ჩემთვის დიდ პატივად ვთვლი. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებლობა მომეცემა ძმურად გადაგეხვიოთ.

გრძნობა მეგობრობისა, რომელიც კაცობრიობისათვის უდიდესი განსაცდელის ჟამს ჩაისახა და გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივად დაღვრილი სისხლით იქნა განმტკიცებული, არა ჭრიჭინა ყოფილი პარტიზანების გულში. ეს წმიდა გრძნობა ახალ შინაარსსა და ენერგიას იძენს დღეს. ეს გრძნობა უკავშირდება მილიონობით კეთილი ნების ადამიანს დამიწის სხვადასხვა კუთხეში გაორკეცებული ენერგიით იბრძოლონ ხალხთა შორის ურთიერთგაგების, ნამდვილი ძმობისა და თანასწორობისათვის.

ა. ფერეთელი

წყალგამანაწილებელი კვანძი

საქართველოს ჰიდრომელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა შ. ბობოხიძემ შეიმუშავა სარწყავი არხებისათვის წყალგანმანაწილებელი კვანძის ახალი კონსტრუქცია.

მთის რელიეფზე სარწყავი ქსელის მოწყობისას არხების მიმართულება ადგილმდებარეობის დახრილობას ემთხვევა. ამ პირობებში წყლის განაწილება სარწყავ მიწებზე რთულდება ნაკადის დიდი სიჩქარის გამო. ახალ კონსტრუქციაში ეს ნაკლი წარმატებით არის გადაწყვეტილი.

წყალგანმანაწილებელ კვანძის მუშაობას საფუძვლად უდევს ის, რომ გამოყენებულია წყლის მოძრაობის ენერგია. ნაკადის სარიხისათვის დასახულ ადგილას ეწყობა პატარა განჰერი. მისგან ზედაპირზე გაჰყავთ სარიხი მილები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უერთდება სარწყავს. მარტივი სამარჯვის საშუალებით, რომელიც მდებარეობს თავისუფლად მიმდინარე ნაკადის გზაზე, წარმოებს სარიხ არხებში წყლის მუდმივი ხარჯვა. იგი დამოკიდებული არ არის განმანაწილებელში წყლის დონის მერყეობაზე.

შ. ბობოხიძის წყალგანმანაწილებელ კვანძში ბეტონის, რკინა-ბეტონისა და მიწის სამუშაოთა მოცულობა, ყველა ლითონკონსტრუქცია არავებულ მოწყობილობებთან შედარებით შემცირდა 10-15-ჯერ.

ახალი ტიპის წყალგანმანაწილებელი უკვე მუშაობს სამგორისა და ტაშისკარის სარწყავ სისტემებში.

მარანი მთის ქვეშ

ღვინომლელი შემოდგომის დამდეგს თბილისში გაიმართება ყურძნის ღვინოების, შამპანური ღვინოებისა და კონიაკის საერთაშორისო კონკურსი. ჩვენს დედაქალაქში ჩამოვლენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და სსრ კავშირის მეღვინეები, შამპანურისა და კონიაკის წარმოების ოსტატები.

ამ კონკურსისათვის ბევრი რამ კეთდება ამჟამად რესპუბლიკაში. ამ დროისათვის დამთავრდება უნიკალური ნაგებობა—ყვარლის მიწისქვეშა მარანი.

თუ რას წარმოადგენს იგი, ამაზე ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საქართველოს შახტების დაპროექტების ინსტიტუტში ესაუბრა პროექტის მთავარი ინჟინერი ა. ხეთაგუროვი.

— ცნობილია, რომ კახურ ღვინოს, — თქვა მან, — ხარისხის გაუმჯობესების, სიმაგრისა და არომატის შენარჩუნებისათვის ესაჭიროება მუდმივი ტემპერატურა, დაახლოებით 12-14 გრადუსი, და ეს ტემპერატურა მას უცვლელად უნდა ჰქონდეს სამი წლის განმავლობაში.

ჩვეულებრივ ღვინოს სარდაფში ინახავენ, მაგრამ იქ მუდმივი რეჟიმის შესაქმნელად საჭიროა კონდიცირებული ჰაერის დიდი რაოდენობით მიწოდება.

გამოანგარიშებით დადასტურდა, რომ მიწისქვეშა მარანში ღვინის მუდმივი რეჟიმისათვის საჭირო კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 4-5-ჯერ ნაკლები ჯდება, ვიდრე მიწისზედა სარდაფებში.

ამიტომ გადაწყდა აშენებულიყო კახეთში მიწისქვეშა მარანი, რომლის დაპროექტება დაევალა საქართველოს შახტების დაპროექტების ინსტიტუტის კოლექტივს. მშენებლობის ადგილად არჩეულ იქნა ყვარლის რაიონის „ჭინჭმაღაულის“ საბჭოთა მეურნეობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. აქ არსებული მთის ქვეშ უკვე რამდენიმე წელია გუდუნებდნენ ექსკავატორები, მიწის სიღრმეში გაჰყავდათ გრძელი გვირაბები. და აი აქ, ტექნოლოგიურად შესაფერის რეჟიმში შეინახავენ კახურ ღვინოებს. მშენებლობას აწარმოებს „თბილგვირაბმშენის“ სამმართველო.

— როგორია მარნის გაბარიტები?

— მარანი 2 მილიონი დეკალიტრი ტევადობისაა. იგი რამდენიმე გვირაბისაგან შედგება. აქედან ორი ცენტრალური გვირაბია ანუ შტოლნი, როგორც სპეციალისტები უწოდებენ. თითოეული შტოლნის სიგრძე 4.500 მეტრია. ისინი ერთმანეთისაგან 500 მეტრით არიან დაშორებული. ცენტრალური შტოლნები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან 13 გვირაბით ანუ შტრეკით. ვინაიდან ჰაერის მუდმივი ტემპერატურა მყარდება მიწის ზედაპირიდან 30 მეტრის სიღრმეში, ამიტომ, დაფერდებული რელიეფის გამო, პირველი შტრეკის სიღრმე მიწის ზედაპირიდან 30 მეტრი იქნება, მეცამეტისა კი — 120 მეტრი.

თვითეული შტრეკის კვეთი 14,5 კვადრატული მეტრია. ეზნი წარმოადგენენ ღვინის საცავებს. აქ ორ-ორ მწკრივად დალაგდება მუხის კასრები. შტოლნებში კეთდება ბუტები ღვინის კუპაჟირებისათვის და კასრების გასარეცხად.

მიწისქვეშა გვირაბებში ეწყობა 500 დეკალიტრის ტევადობის რკინაბეტონის გამმანაწილებელი რეზერვები.

მარანში არის სამაცივრო დანადგარი ჰაერის კონდიცირებისათვის, აქედან ვენტილატორებით, სპეციალური მილებითა და არხებით ჰაერი მთელ მარანში გადადის.

მიწისქვეშა მარანში მოთავსდა ღვინის „ბიბლიოთეკა“, სადაც ერთდროულად შეინახავენ 2,500-მდე ბოთლს. შენდება აგრეთვე სადეგუსტაციო დარბაზი.

— ამჟამად მიწისქვეშა მარნის რა ნაწილია დამთავრებული და რის მშენებლობა მიმდინარეობს?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ხშირად გვიხდება მშენებლობაზე ყოფნა, ვამოწმებთ, პროექტის მიხედვით თუ სად რა კეთდება. უკვე დამთავრდა მიწის სიღრმეში თითქმის ყველა სამუშაო, მიმდინარეობს სადეგუსტაციო დარბაზის მშენებლობა, კლდის სიღრმიდან გამოტანილი მიწით ამოავსეს ხევი და მარნის წინ შეიქმნა 4,5 ჰექტარი ფართობი ტერიტორია. ამჟამად აწარმოებენ ამ ტერიტორიის კეთილმოწყობას. დარგავენ ყვავილებს, მარადმწვანე მცენარეებს, ბაზალტისა და ეკლარის ქვით მოაპირკეთებენ ცენტრალური გვირაბის შესასვლელს.

— როგორი იქნება მარნის შიგნით მომსახურება?

— მიწის ქვეშ მარანი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. გაყვანილია სატელეფონო ქავშირი. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წყალი სპეციალური საკანალიზაციო მილებით ჩავა მდინარე ბურსაში.

ყოველწლიურად მარნიდან გასცემენ 66.000 დეკალიტრ ღვინოს და ამდენივე დეკალიტრს ჩაასხამენ კასრებში შესანახად.

აღსანიშნავია, რომ ყვარლის მიწისქვეშა მარანი თავისი კონსტრუქციითა და მოცულობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

მეოთხედი საუკუნე განშორებაში

ამ დროისათვის მენშევიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი ჰიტლერული გერმანიის გავლენის ქვეშ მოექცა; მათ შორის მოიძებნებოდნენ ისეთი ნაძირალებიც, რომლებიც სულით და გულით მიესალმებოდნენ ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ქართული ემიგრაციის რიგებში, დიდი მონოლითურობითა და სიმტკიცით არასოდეს რომ არ გამოირჩეოდა, თავი იჩინა მრავალმა დაჯგუფებამ.

უთანხმოებამ, რაც ქართული ემიგრაციის რიგებში ჯერ კიდევ 1924 წლის აგვისტოს ჩაფუშული ავანტიურიდან დაიწყო, უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ხალხი ბოლშევიკების მხარეზე იყო და არავითარ ძალას არ შეეძლო იმ ქვეყნის დაპყრობა, სადაც ხალხმა თავისი ბედი და მომავალი თვითონ განსაზღვრა. რიგითი ემიგრანტები ჩამოშორდნენ იმ მეთაურებს, რომლებმაც თავიანთ იდეად ქართველ ხალხთან, საბჭოთა საქართველოსთან ბრძოლა გამოაცხადეს. დიდი მონდომებით დაუკავშირდნენ ფაშისტებს მიხეილ კედია და ალექსანდრე ასათიანი. ასათიანი შეხვდა ბერლინში მცხოვრებ ნიკოლოზ ნაკაშიძეს და მისი დახმარებით დაუკავშირდა ნაცისტებს. მიხეილ კედიამ კი არაფერი არ დაიშურა იმისათვის, რომ შეექმნა ფაშისტური ბანდა (ყველაზე უკანასკნელი ემიგრანტებისაგან), რომელიც „თეთრი გიორგის“ სახელით იყო ცნობილი და რაღაცით ჰგავდა ჰიტლერის მოიერიშეებს“. სწორედ „თეთრი გიორგი“ ამარაგებდა ფაშისტებს მეორე მსოფლიო ომის დროს აგენტებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს ცნობილი გახდა რამდენიმე წლის შემდეგ. იმ დროს კი, ომისწინა წლებში არავინ იფიქრებდა, თუ ამდენად დამდაბლდებოდნენ, ხაძირალებად იქცეოდნენ და სამუდამო წყევლა-კრულვის ღირსი გახდებოდნენ ისინი, ვინც ჰიტლერს თავს ავაზობდა თავის სამსახურს.

ჰიტლერის გაჩერება კი დასავლეთში აღარავის შეეძლო. რამდენიმე ქვეყნის დაპყრობის შემდეგ მან საფრანგეთი აიღო. პარიზი გამოაცხადეს ღია ქალაქად, რადგან ეშინოდათ, რომ ხალხი თვითონ დაიცავდა მას. პეტენის გამყიდველმა მთავრობამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას. ფაშისტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მტკად დაემცერებინათ საფრანგეთი. დამცინავი პროცედურა კაპიტულაციისა მიმდინარეობდა იმ ვაგონში, კომპიენის ტყეში, სადაც ჯერ კიდევ მარშალმა ფოშმა მიიღო კაიზერის გერმანიის კაპიტულაცია.

კაპიტულაციის ხელმოწერის შემდეგ, პოლკი, რომელშიც გ. გეგელია მსახურობდა, გადაიყვანეს ქალაქ კოსადში, სადაც ჩამოართვეს იარაღი. კაპიტულაციის ხელმოწერის დროს პოლკი არაოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეომრები ტყვეებად არ ითვლებოდნენ. ისინი მხოლოდ დაშალეს და გამოუწერეს საბუთები სახლამდე მისასვლელად. გ. გეგელიაც გაუდგა გზას პარიზისაკენ, გზაში მას მოუხდა პირველი შეხვედრა ფაშისტებთან „მშვიდობიან“ პირობებში. მოსალოდნელი იყო საბუთების დეტალური გასინჯვა. გერმანელებმა წაიკითხეს თუ არა გვარი გეგელია, მიხვდნენ, რომ ის ფრანგი არ იყო. მათ დაებადათ ეჭვი, იყო თუ არა გიორგი უცხოელი მოხალისე.

— შენ მოხალისე ხარ?

— შეხედეთ დემობილიზაციის ფურცელს, მასში ყველაფერია ნათქვამი.

— ფურცელში კი ეწერა, რომ იგი დემობილიზებული იყო საფრანგეთის არმიის სარდლობის მიერ.

ჰუჰკუიანი, დახეული მაზარით შევიდა გეგელია პარიზში. იწყებოდა „ახალი“ ცხოვრება, ცხოვრება უოჯახოდ, უმეგობროდ. რა მოელოდა მას საფრანგეთის დიდ დედაქალაქში, ამჟამად კი ოკუპირებული ნაწილის დედაქალაქში? უპირველეს ყოვლისა გეგელია იმედს არ კარგავდა, რომ მოძებნიდა მახლობლებსა და ნათესავებს. ბრძოლების დროს გეგელიას არც ერთხელ არ მიუღია მეუღლის წერილი, თუმცა თვითონ კი სწერდა, როგორც კი ჯარისკაცის პირობები მისცემდა საშუალებას. მატარებელმა, რომლითაც იგი უახლოვდებოდა პარიზს, სვლას უკლო. სადგურის ბაქანზე უამრავი პარიზელი იყო, ისინი ელოდებოდნენ ჯარისკაცებს, რათა დაენახათ თავიანთი მახლობლები, ნათესავები. გეგელიას არავინ არ დახვედრია. ნელა მიაბიჯებდა გიორგი პარიზის დაცარიელებულ ქუჩებში. მივიდა თავის სახლამდე, დააკაკუნა და იცოდა მეუღლე. — თქვენი მეუღლე თქვენ მესაზვედრად არის წამოსული, თქვენ ალბათ ასცდით ერთმანეთს. მართლაც ნახევარი საათის შემდეგ ბინაში მეუღლე შევიდა. ისინი გადახვივნენ ერთმანეთს. მათი დიდი ხნის განშორება ხომ შეიძლებოდა სამუდამო ყოფილიყო!

პარიზში გაიგო გიორგიმ დაწვრილებით, თუ როგორ მოაწერეს ხელი დედაქალაქის ჩაბარების აქტს. სამარცხვინო საბუთის ხელისმომწერთა შორის იყო ცნობილი ქირურგი და საზოგადო მოღვაწე დემარტელი, რომელსაც გიორგი კარგად იცნობდა. დემარტელს არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა პეტენის ხროვასთან, სახლში მისვლისთანავე მან თქვა, — მე პირველად გავაკეთე ის, რაც არ უნდა გამეკეთებინა და თავი მოიკლა.

გ. გეგელიამ სამი თვე დაისვენა და იგრძნო, რომ არ შეეძლო უმოქმედობა იმ დროს, როდესაც პეტენის მიერ ათასობით გაყიდული ფრანგი აღდგა შეურიგებელი ბრძოლისათვის. გეგელია დასვენებიდან პარიზში დაბრუნდა. სახლში დახვდა თავისი მეთაურისა და მეგობრის ვიქტორ ტიზონის წერილი. ტიზონი სწერდა, რომ ის დანიშნეს ომის ვეტერანებისა და ინვალიდების განყოფილების უფროსად სენის დეპარტამენტში, და სთხოვდა შეევლო მასთან მოსალაპარაკებლად.

ორი ჯარისკაცი, რომლებმაც ერთად განიცადეს უკან დახევის სიმწარე, გადაიტანეს ბევრი სასიკვდილო საშიშროება და ერთად ღვრიდნენ სისხლს გერმანელებთან ბრძოლაში, სიხარულით შეხვდა ერთმანეთს.


საუბარი იმაზე მიმდინარეობდა, თუ როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ იმათ შორის, ვინც ბრძოლას გაგრძობდა. ტიზონმა გიორგის ურჩია, პირველ ყოვლისა სამუშაო უნდა იშოვნო, თორემ გერმანელები თავიანთ ქვეყანაში ძალით წაგიყვანენ. ფაშისტებმა უკვე ბევრი გაუყენეს იქითკენ გზასო. მან გააცნო მოხუცი თომა, რომელმაც გიორგი მწერლად მოაწყო ერთ-ერთ სამმართველოში.

სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა გეგელია ტიზონსა და მის ახლო მდგომ ხალხს. უკვე მიხვდა, რომ კაპიტანი ტიზონი იყო კაცი, რომელიც საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით ღრმა იატაკქვეშეთში მუშაობდა. ტიზონის ახლო მეგობრებს შორის იყო გაროდელი, საფრანგეთის კომპარტიის წევრი. მოხუცი თომაც კი მათი თანამოაზრე იყო.

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ბერის ხმა“ № 8. 1964 წ.

ს/ფ. 21/57.

ახალი საბჭოთა გიგანტი



მოსკოვი, 15 ივნისს ახალმა საბჭოთა გიგანტმა თვითმფრინავმა „ან-22“-მა პირველად გადაკვეთა სხრ კავშირის საზღვარი, რათა მონაწილეობა მიეღო პარიზის აერონავტიკისა და კოსმოსის სალონში.

„ან-22“-ს, რომელსაც შეუძლია ბორტზე მიიღოს 80 ტონამდე ტვირთი, მსოფლიოში ბადალი არა მოეპოვება.

ამ თვითმფრინავში უკანა ნაწილის უზარმაზარი ლუკით ორი ათეული ტრაქტორი შედის. ასეთი ტვირთით „ან-22“ ადვილად ადის ჰაერში.

თვითმფრინავში შეიძლება 720 კაცი მოთავსდეს.

ახალი სატრანსპორტო მანქანა კონსტრუქტორ ანტონოვის წინანდელ მოდელებს მოგვაგონებს. გარეგნობითაც. ეს ტურბინხრახნიანი თვითმფრინავი ბეტონის აეროდრომებს არ მოითხოვს და ჯდება კილომეტრზე ცოტა მეტი სიგრძის გრუნტის მოედნებზე.

ბორტზე 45 ტონა ტვირთით გიგანტი ძირდაუშვებლად გადაფრინდება 11 ათას კილომეტრზე.

60 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის ოთხი ტურბინით თვითმფრინავს შეუძლია საათში 748 კილომეტრამდე სიჩქარე განავითაროს. თუ ერთერთი მოტორი გაჩერდა, ხომალდი მტკიცედ განაგრძობს ფრენას.

სურათზე: თვითმფრინავი „ან-22“.

სპორტული მიმოხილვა

ივნისის დასაწყისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სხრ კავშირისა და დანიის ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენი ფეხბურთელებისათვის ეს შეხვედრა მესამე იყო წსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩებში. ნაკრებში ოთხი ქართველი ფეხბურთელი იყო — მეკარე ა. კავაზაშვილი (მოსკოვის „ტორპედო“), მ. მესხი, ს. მეტრეველი და ვ. ბარქაია (თბილისის „დინამო“).

თავიდანვე ვიტყვით, რომ ჩვენი გუნდი ბრწყინვალე იყო და გამარჯვებაც დამაჯერებელი — 6:0. ყველა გოლის გატანაში მონაწილეობა მიიღეს მ. მესხმა და ვ. ბარქაიამ.

ექვსი გოლიდან თითო მეტრეველმა და მესხმა გაიტანეს, ორი კი ნაკრების დებიუტანტმა თბილისის „დინამოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ბარქაიამ.

უცხოელი და საბჭოთა სპეციალისტების, აგრეთვე ჟურნალისტების აზრით საუკეთესონი იყვნენ მ. მესხი და ვ. ბარქაია. პირველი გამოირჩეოდა ელვისებური გარღვევებით და სრული დეზორგანიზაცია შეჰქონდა სტუმრების დაცვის ხაზებში, მეორე კი თითქმის ყველა ჩანაფიქრის ან დამწყები, ან განმგრძობი ანდა დამაგვირგვინებელი იყო.

სხრ კავშირის ნაკრებმა ექვსი შესაძლებლიდან ექვსი ჭურა მოაგროვა. განმეორებითი მატჩები მას ექნება ოქტომბერში საბერძნეთთან, უელსთან და დანიასთან. ამ სამ შეხვედრაში საჭიროა ორი-სამი ჭურის მოპოვება, და ლონდონში მსოფლიოს პირველობაზე გზა ხსნილია იქნება.

გასული წლის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ბაქოს „ნეფტიანიკი“ და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, ნაკრებში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები. რასაკვირველია, დაღლილი არიან და ზოგჯერ თავიანთი კლუბის სახარგებლოდ სათანადო ოსტატობას ვერ აჩვენებენ. ახლაც ასე იყო. მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრის წინ გ. სიჭინავა, მ. მესხი, ვ. ბარქაია და ს. მეტრეველი ბრაზილელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ. ამ მატჩზე ცალკე უნდა შევჩერდეთ.

შეხვედრას 105 ათასი მაყურებელი და მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. ეს იყო ფეხბურთის დიდი ზეიმი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, თუ რას წარმოადგენს პელე და მისი გუნდი. ეს იყო არტისტული და მომხიბვლელი სპექტაკლი, რომელიც სტუმრებმა მიჰყვდათ. მსოფლიოს ჩემპიონებმა გაიმარჯვეს — 3:0 და არავის მოუვა აზრად საყვედური გამოთქვას დამარცხებულებისადმი, მით უმეტეს, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს. პირველ ტაიმში გამოირჩეოდა ს. მეტრეველი, შეორეში მ. მესხი, ორივე ნახევარში კი გ. სიჭინავა. რაც შეეხება სტუმრებს, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მათ ირგვლივ შექმნილი ლეგენდები არათუ გადაჭარბებულნ, არამედ, პირიქით მოკრძალებულიც არის. ისინი გაცილებით უფრო ბრწყინვალე არიან.

მეგობრული შარჟები



მ. მესხი. ს. მეტრეველი. ვ. ბარქაია.

გედის ტბა

ქოგულეთი. ამ ინფორმაციაში ლაპარაკი იქნება არა იმ ტბაზე, რომლის ნაპირებზეც გედები ბოროტი გრძნეულის ნება-სურვილით ფრინველებად იყვნენ ქცეულნი, ბუმბულის შემოცლის შემდეგ კი ლამაზ ქალიშვილებად გადაიქცეოდნენ. ჩვენი ტბა აღებულია არა ზღაპრიდან, არამედ ნამდვილად არსებობს. იგი სულ ახლახან წარმოიშვა შობულეთის საკურორტო ზონის თვალწარმტაცი ტანაშოლტილი ფიქვებით გარშემორტყმულ ადგილას.

ამ დღეებში ტბაში რამდენიმე წყვილი გედი გაუშვეს. თითეული წყვილისათვის სპეციალური სახლი ააშენეს. გედები მშვენივრად შეეგუენ ახალ ადგილს.

ქალაქ-კურორტის მშრომელები და დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსული სტუმრები ინტერესით ადევნებენ თვალყურს ფრთოსანთა სამყაროს წარმომადგენლების ჩვევებს.

მაგრამ გედები როდი არიან ტბის ერთადერთი ბატონ-პატრონი. აქ თავშესაფარი ჰპოვეს რამდენიმე ძვირფასი ჯიშის თევზების ლიფსიტებმა.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საქედაქციო კოლეგია

ჩვენი თბილისი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.